ბრძანება:**ბ32. 32233245**

თარიღი:**20/11/2023**

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 85^1 მუხლის მე-4 ნაწილის, 85^2 მუხლის მე-5 ნაწილის, 85^3 მუხლის პირველი ნაწილის ,,თ" პუნქტის, 85^4 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" პუნქტის, მე-4, მე-9, 11-ე და 13-ე ნაწილების, 85^5 მუხლის პირველი - 6 ნაწილების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 56-ე და 57-ე მუხლებისა და ,,დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2016 წლის 4 თებერვლის, №4 დადგენილების პირველი მუხლის, მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის ,,თ" პუნქტის, მე-5 მუხლის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის, მე-9 და 10-ე მუხლების **საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწვეულ იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საერთო კრება და საერთო კრება გაიმართოს, **2023 წლის 09 დეკემბერს 12:00 სთ-ზე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2. დამტკიცდეს, მარნელის მუნიციპალიტეტის სოფელ მარადისის საერთოს კრების დღისწესრიგი დანართი 1-ის შესაბამისად.

3.საერთო კრების საქმიანობის წარმართვის/თავმჯდომარეობის უფლებამოსილება მიენიჭოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს - მამუკა შუბითიძეს.

4. საერთო კრების მდივნის უფლებამოსილება მიენიჭოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების ხელმძღვანელს- ირინე მაჭარაშვილს.

5. საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზების უფლებამოსილება მიენიჭოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, ინფორმაციისა და სტატისტიკის განყოფილების სპეციალისტებს თამარი კიპაროიძეს და მარიტა ბაბლუანს.

6. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს და მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულარის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს, სოფელ მარადისის მოსახლეობის ინფორმირება და საერთო კრების გამართვის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

7. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და მერიის ადმინისტრაციული შენობაში საინფორმაციო დაფაზე

განთავსება.

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს - ზურაბ ფანგანს.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ბოლნისი, სულხან-საბას ქუჩა №113), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი